ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №7446434

ნომერი: AR11085516

თარიღი : 04.04.2025

გაცემის თარიღი : 14.04.2025

გაცნობის თარიღი : 14.04.2025

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა იონა ტუსკია , N 25;

დამკვეთი-განმცხადებელი

- კახა მურცხვალაძე პ/ნ 01007001628
- თბილისი დიდი დიღომი ი.პეტრიწის ქ. N 10 ბ. 39

ნომენკლატურა :

- I კლასი
- დროებითი დანადგარი
  ახალი მშენებლობა

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5, 51-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიეტქტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილებით დამტკიცებული მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესის და პირობების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული ქ.

თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების თანახმად.

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია და გაცნობებთ, რომ საკითხის განსახილველად საჭიროა წარმოადგინოთ შემდეგი:

1. წარმოსადგენია საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის შესაბამისი წერილი, რომელშიც მითითებული იქნება განსახორციელებელი სამშენებლო/სამონტაჟო სამუშაოების სახანძრო უსაფრთხოების მოქმედ ტექნიკურ რეგლამენტებთან დასაშვებობის/შესაბამისობის თაობაზე. საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის წერილთან ერთად (ასეთის არსებობის შემთხვევაში), ასევე, წარმოდგენილ უნდა იქნეს წერილზე თანდართული დანართები.
2. წარმოდეგნილი არსებული სიტუაციის ფოტომასალიდან ირკვევა, რომ შლაგბაუმი უკვე მოწყობილია, ასევე სამსახურის ბაზაში ფიქსირდება ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექციის მიერ გაცემული მითითება (28.03.2025წ. №005165). ასეთ შემთხვევაში საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის 112-ე მუხლის მე-2 და მე-4 ნაწილების თანახმად, თუ წარმოებულია უნებართვო მშენებლობა, რომელიც შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს, მშენებლობის ნებართვის გამცემი ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია დაინტერესებული პირის განცხადების საფუძველზე განიხილოს მშენებლობის ნებართვის გაცემის საკითხი, ასეთ შემთხვევაში განმცხადებელმა უნდა წარადგინოს შესაბამისი ჯარიმის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი.
3. საკადასტრო გეგმაზე დაიტანეთ ზუსტი განთავსების ადგილი
4. წარმოდგენილ იქნეს განმცხადებლის უფლებამოსილების დამადასტურებელი მინდობილობა.
5. შლაგბაუმის ამხანაგობის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის საზღვრებში მოწყობის შემთხვევაში წარმოდგენილ იქნეს ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის კრების ოქმი წევრთა 2/3-ის ნახევარზე მეტის თანხმობით. თუ საზღვრებს გარეთ არის დაგეგმილი სამუშაოები, შესაბამისი უფლებამოსილი ადმინისტრაციული ორგანოს თანხმობა იქნეს წარმოდგენილი.

ზემოაღნიშნული დოკუმენტაციის სრულად წარმოდგენის შემთხვევაში, სამსახური იმსჯელებს თქვენს მოთხოვნაზე/განსახორციელებელი სამუშაოების მიზანშეწონილობაზე, ხოლო ახალი გარემოებების წარმოჩენის შემთხვევაში დამატებით გეცნობებათ ინფორმაცია გამოვლენილი ხარვეზების შესახებ.

ხარვეზების გამოსწორებისთვის გეძლევათ 15 სამუშაო დღე. მოცემულ ვადაში განახლებული დოკუმენტაციის წარმოუდგენლობის შემთხვევაში განცხადება დარჩება განუხილველი. იმ შემთხვევაში, თუ თქვენი მხრიდან არ მოხდება სამსახურის მიერ დადგენილი ხარვეზების სრულყოფილად გამოსწორება სამსახური უფლებამოსილია აღნიშნული განაცხადი დატოვოს განუხილველი.

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.